

შპს „ტორნადო +“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2023 წლის 31 დეკემბერს

თბილისი
2024

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	5
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	9
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	9
4. ძირითადი საშუალებები.....	15
5. არამატერიალური აქტივები.....	17
6. მარაგები.....	18
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	18
8. ფული და მისი ექვივალენტები.....	18
9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.....	19
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	19
11. ამონაგები.....	19
12. სხვა შემოსავალი.....	20
13. სხვა ხარჯი.....	20
14. ფინანსური რისკების მართვა.....	20
15. კაპიტალის მართვა.....	23
16. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.....	23
17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის	24
18. განუსაზღვრელი ვალდებულებები.....	25
19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.....	26

შპს „ტორნადო +“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	31.12.2023წ.	31.12.2022წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3 708 425	3 663 158
არამატერიალური აქტივი	5	20 571	24 341
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 728 996	3 687 499
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	5 160 941	4 314 253
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	4 269 066	1 749 002
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	8	984 789	449 400
სხვა მოკლევადიანი აქტივები		37 819	0
სულ მიმდინარე აქტივები		10 452 615	6 512 655
სულ აქტივები:		14 181 611	10 200 155
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10 800	10 800
სარეზერვო კაპიტალი		329 993	329 993
გაუნაწილებელი მოგება/აკუმულირებული ზარალი		4 178 093	1 714 925
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი		3 774 667	2 463 168
განაწილება მესაკუთრეებზე		(941 337)	-
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		7 352 215	4 518 886
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		39 651	18 619
სულ საკუთარი კაპიტალი		7 391 866	4 537 504
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავად. შემოსავლები დაგროვებული ქულებიდან		8	8
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	5 280 643	4 225 947
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5 280 651	4 225 955
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1 035 421	1 124 130
საგადასახადო ვალდებულებები		390 809	153 465
სახელფასო ვალდებულებები		82 864	43 632
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	115 469
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 509 093	1 436 696
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		14 181 611	10 200 155

დირექტორი:

გ. ბებია

შპს „ტორნადო +“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	31.12.2023წ.	31.12.2022წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3 708 425	3 663 158
არამატერიალური აქტივი	5	20 571	24 341
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 728 996	3 687 499
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	5 160 941	4 314 253
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	4 269 066	1 749 002
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	8	984 789	449 400
სხვა მოკლევადიანი აქტივები		37 819	0
სულ მიმდინარე აქტივები		10 452 615	6 512 655
სულ აქტივები:		14 181 611	10 200 155
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10 800	10 800
სარეზერვო კაპიტალი		329 993	329 993
გაუნაწილებელი მოგება/აკუმულირებული ზარალი		4 178 093	1 714 925
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი		3 774 667	2 463 168
განაწილება მესაკუთრეებზე		(941 337)	-
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		7 352 215	4 518 886
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		39 651	18 619
სულ საკუთარი კაპიტალი		7 391 866	4 537 504
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავად. შემოსავლები დაგროვებული ქულებიდან		8	8
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	5 280 643	4 225 947
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5 280 651	4 225 955
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1 035 421	1 124 130
საგადასახადო ვალდებულებები		390 809	153 465
სახელფასო ვალდებულებები		82 864	43 632
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	115 469
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 509 093	1 436 696
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		14 181 611	10 200 155

დირექტორი:

გ. ზეზია



(ლარი)	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	11	13 577 899	11 953 134
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(8 522 141)	(8 103 339)
საერთო მოგება		5 055 758	3 849 796
სხვა მარაგების ხარჯი		(53 449)	(36 947)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(1 620 886)	(1 261 990)
იჯარის ხარჯი		(224 737)	(220 619)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(131 281)	(99 824)
სარეკლამო ხარჯები		(186 255)	(281 794)
საგადასახადო ხარჯი		(24 616)	(9 129)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(369 777)	(465 312)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		2 444 757	1 474 180
სხვა შემოსავალი	12	934 213	1 336 052
სხვა ხარჯი	13	(920 348)	(1 018 323)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		2 458 621	1 791 910
მოგების გადასახადი		(6 139)	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		2 452 482	1 791 910
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი			
მოგება (ზარალი)		2 431 449	1 775 114
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი			
მოგება (ზარალი)		21 032	16 796
მოგება / (ზარალი)		2 452 482	1 791 910
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი			
მთლიანი შემოსავალი		2 431 449	1 775 114
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი			
მთლიანი შემოსავალი		21 032	16 796
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		2 452 482	1 791 910
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		4 548 554	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(366 145)	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		756 975	2 756 644
კაპიტალის სხვა ცვლილებები			-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		7 391 866	4 548 554

შპს „ტორნადო +“
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

<i>(ლარი)</i>	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
საქ./მომს.-ს მიწ.-დან მიღებული ფულადი სახსრები		14 218 244	13 732 757
მიღებულ საქ./მომს.-ზე გადახდილი ფულადი სახსრები		(7 060 524)	(7 735 115)
გაცემული ხელფასები		(1 229 533)	(976 454)
ბიუჯეტში გადახდილი ფულადი სახსრები		(3 231 589)	(2 898 851)
სხვა ხარჯებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(1 992 245)	(1 929 309)
გაუთვ. შემოსავლები (დადებითი საკურსო სხვაობა)		21 781	46 598
გაუთვ. ხარჯები (უარყოფითი საკურსო სხვაობა)		(45 193)	(103 108)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		680 941	136 518
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირ. საშ.-ის გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		10 815	-
ძირ. საშ.-ის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(256 193)	(2 297 206)
გაცემული დივიდენდი		(366 145)	-
მიღებული დივიდენდი		-	-
ინვესტიცია სხვა საწარმოში		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(611 523)	(2 297 206)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული მოკლევადიანი სესხები		-	-
მიღებული გრძელვადიანი სესხები		1 492 403	5 438 002
მიღებული მოკლევადიანი სესხის ძირის დაფარვა		(115 469)	(1 935 938)
მიღებული გრძელვადიანი სესხის ძირის დაფარვა		(625 761)	(1 216 533)
მიღებული სესხ(ებ)ის პროცენტის დაფარვა		(289 285)	(142 110)
მიღებული პროცენტები		4 082	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		465 970	2 143 421
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში			
		535 388	(17 267)
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	8	449 400	466 667
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	8	984 789	449 400

შპს „ტორნადო +“
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	მოგების განაწილება	სულ
31.12.2021 ნაშთი	<u>10 800</u>	<u>329 993</u>	<u>1 921 659</u>	<u>-</u>	<u>2 262 452</u>
2022 წლის წმინდა მოგება	-	-	2 275 052	-	2 275 052
დივიდენდის გაცემა	-	-	-	-	-
31.12.2022 ნაშთი	<u>10 800</u>	<u>329 993</u>	<u>4 196 711</u>	<u>-</u>	<u>4 537 504</u>
2023 წლის წმინდა მოგება	-	-	2 452 482	-	2 452 482
დივიდენდის გაცემა	-	-	-	(366 145)	(366 145)
კაპიტალის სხვა ცვლილება	-	-	768 025	-	768 025
31.12.2023 ნაშთი	<u>10 800</u>	<u>329 993</u>	<u>7 417 218</u>	<u>(366 145)</u>	<u>7 391 866</u>

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტორნადო +“ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

საზოგადოება დაფუძნებული იქნა საზოგადოების დამფუძნებელ-პარტნიორთა 1997 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე.

შპს „ტორნადო +“-ს, გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 211338382, სახელმწიფო რეგისტრაცია განხორციელებულია ქ. თბილისის საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ 1997 წლის 27 მარტს, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი 5ა/4-1077.

იმავე თარიღით, 1997 წლის 27 მარტს, კომპანიის საგადასახადო რეგისტრაცია (აღრიცხვაზე აყვანა) განხორციელდა საგადასახადო ინსპექციის ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის განყოფილებამ და მიანიჭა გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 211338382.

საზოგადოება დაფუძნებული იქნა 3 (სამი) რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ საწესდებო კაპიტალში შემდეგი ოდენობის შენატანებითა და წილობრივი მონაწილეობით:

- ფ/პ ირაკლი ნიკოლაიშვილი, შენატანი 3.600 ლარი, წილი - 33,33%;
- ფ/პ თამაზი ხარაიძე, შენატანი 3.500 ლარი, წილი - 32,41%;
- ფ/პ გივი მეფარიძე, შენატანი 3.700 ლარი, წილი - 34,26%.

საზოგადოების დაფუძნება/რეგისტრაციის შემდგომ პერიოდში თავდაპირველად რამდენჯერმე შეიცვალა კომპანიის პარტნიორთა შემადგენლობა და კაპიტალში მათი წილობრივი მონაწილეობა, თუმცა 2009 წლის 30 იანვარს განხორციელებული ცვლილებებით ჩამოყალიბებული კონფიგურაციით პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა უცვლელი დარჩა საანგარიშო პერიოდამდე შემდეგი სახით:

- ფ/პ თამაზი ხარაიძე, პ/ნ 01010004194, წილი - 14%;
- ფ/პ ალექსანდრე ივანიშვილი, პ/ნ 01012000982, წილი - 79.5%;
- ფ/პ რობერტი ხაბურზანია, პ/ნ 01022001441, წილი - 6.5%.

საანგარიშო პერიოდში, კერძოდ 2023 წლის 7 ივლისს, განხორციელდა ბოლო ცვლილება და საზოგადოების პარტნიორთა შემადგენლობა და მათი წილობრივი მონაწილეობა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

- ფ/პ თამაზი ხარაიძე, პ/ნ 01010004194, წილი - 14%;
- ფ/პ ალექსანდრე ივანიშვილი, პ/ნ 01012000982, წილი - 39.5%;
- ფ/პ გიორგი დამენია, პ/ნ 01007008589, წილი - 40%;
- ფ/პ რობერტი ხაბურზანია, პ/ნ 01022001441, წილი - 6.5%.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი დაფუძნების დღიდან შეადგენს 10,800 (ათი ათას რვაასი) ლარს. მისი სიდიდე მეტად აღარ შეცვლილა და იგივე მოცულობით უცვლელად ფიქსირდება საანგარიშო პერიოდშიც.

კომპანია ბოლო წლებში (2010 წლიდან) საანგარიშო პერიოდის ბოლომდე დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი,

ფიზკულტურის და გოთუას ქუჩების გადკვეთაზე. აღნიშნული მისამართი წარმოადგენს კომპანიის ფაქტობრივ მისამართსაც.

საანგარიშოს წინა პერიოდში, კერძოდ 2022 წლის 17 იანვრიდან, კომპანია გახდა მშობელი საწარმო, როდასაც შვილობილი საწარმოს (შპს „ჯი ემ თი ჯგუფი“, ს/ნ 402047664) კაპიტალში მისი წილობრივი მონაწილეობა 50%-დან გაიზარდა 100%-მდე:

შვილობილი კომპანიის დასახელება და ს/ნ	საქმიანობის სფერო	საქმიანობის ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	წილის ფლობა	
				2023წ.	2022წ.
შპს „ჯი ემ თი ჯგუფი“, ს/ნ 402047664	ავტონაწილებით და საპოხი მასალ. ვაჭრობა	საქართველო	20/03/2017	100%	100%

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ჯი ემ თი ჯგუფი“-ს 2021 წლის 10 დეკემბრის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო კომპანიის რეორგანიზაცია ახალი სამეწარმეო სუბიექტის გამოყოფის გზით და 2022 წლის 17 იანვარს დასრულდა საზოგადოების რეორგანიზაცია, რის შედეგადაც შპს „ჯი ემ თი ჯგუფი-დან“ (ს/ნ 402047664) გამოეყო ახალი სამეწარმეო სუბიექტი - შპს „ჯი ემ აუტო 2021“, ს/ნ 402202406.

ზემოაღნიშნული რეორგანიზაციის შედეგად შვილობილ საწარმოში (შპს „ჯი ემ თი ჯგუფი“, ს/ნ 402047664) საზოგადოების - შპს „ტორნადო +“, ს/ნ 211338382 - წილი გაიზარდა და გახდა 100%.

2021 წლიდან კომპანიის შვილობილი საწარმო (შპს „ჯი ემ თი ჯგუფი“, ს/ნ 402047664) ასევე წარმოადგენს სხვა კომპანიის (შპს „ჯი ემ თი პლიუსი“, ს/ნ 405293677) მშობელ საწარმოს:

შვილობილი კომპანიის დასახელება და ს/ნ	საქმიანობის სფერო	საქმიანობის ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	წილის ფლობა	
				2023წ.	2022წ.
შპს „ჯი ემ თი პლიუსი“, ს/ნ 405293677	ავტონაწილებით და საპოხი მასალ. ვაჭრობა	საქართველო	04/10/2018	75%	75%

თავდაპირველად, 2019 წლის 27 დეკემბერს შვილობილი კომპანიის (შპს „ჯი ემ თი ჯგუფი“, ს/ნ 402047664) მიერ შეძენილი იქნა შპს „ჯი ემ თი პლიუსი“-ს (ს/ნ 405293677) კაპიტალის 25%-იანი წილი მისი ერთ-ერთი ფ/პ პარტნიორიდან, ხოლო 2021 წლის 12 ნოემბერს 2 ასევე ფიზიკური პირი პარტნიორისაგან უსასყიდლოდ გადაეცა კიდევ 25-25% კაპიტალის წილები და ჯამში კომპანიის წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრა სულ 75%-ით.

შვილობილ კომპანიაში კონტროლის მოპოვებასთან ერთად, 2021 კალენდარული წლის პერიოდში შპს „ჯი ემ თი ჯგუფი“, ს/ნ 402047664, გახდა ე.წ. „შუალედური“ მშობელი კომპანია.

საანგარიშო პერიოდში კომპანიას სხვა შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

ჯგუფში შემავალი საწარმოების (როგორც წესდებებით, ისე ფაქტობრივად) ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტონაწილებისა და საპოხი მასალების საბითუმო და საცალო ვაჭრობა. ჯგუფი ასევე ეწევა ექსპორტ-იმპორტსა და კანონით აუკრძალავ სხვა საქმიანობასაც. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ჯგუფი თავის საქმიანობას ახორციელებს თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის რამოდენიმე ტერიტორიულად განცალკევებული სავაჭრო ობიექტის მეშვეობით.

საანგარიშო პერიოდში ჯგუფი ახდენს ადგილზე (საქართველოში) შეძენილ და ასევე იმპორტირებული საქონლის რეალიზაციას. ყურადღება ექცევა ასევე ავტომობილებისათვის ტექნიკური და პროფილაქტიკური მომსახურების გაწევასაც. ჯგუფი გეგმავს, რომ მისი საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას გახდეს ავტომობილების ყიდვა-გაყიდვაც.

01.01.2023 წლისათვის ჯგუფში მუშაობდა 28 თანამშრომელი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, 01.01.2024 წლისათვის კი ისევ 30 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) მიხედვით.

წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ჯგუფი ასევე გამოიყენებს რეალური ღირებულების მიდგომასაც ისეთი აქტივებისა და ვალდებულებებისათვის, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

კონსოლიდაციის პროცედურები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას საწარმოთა ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

(ა) გაერთიანებულია მშობელი და შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;

(ბ) უგულებელყოფილია შვილობილ საწარმოში მშობელი საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და შვილობილი საწარმოს საკუთარი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მშობელ საწარმოს ეკუთვნის;

(გ) შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი, კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში, მშობელი საწარმოს მესაკუთრეთა წილისგან განცალკევებით;

(დ) შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოების წმინდა აქტივებში, მშობელი საწარმოს აქციონერთა წილისაგან განცალკევებით. არამაკონტროლებელი წილი წმინდა აქტივებში მოიცავს:

- (i) არამაკონტროლებელი წილის ოდენობას თავდაპირველი გაერთიანების თარიღისათვის, რომელიც გამოთვლილია „საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი“-ს შესაბამისად; და
- (ii) გაერთიანების თარიღის შემდეგ საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარ ცვლილებებში არამაკონტროლებელი წილის ნაწილს.

მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე მისაკუთვნებელი მოგების ან ზარალის და საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ნაწილები/ოდენობა განისაზღვრება საკუთრების არსებული წილების საფუძველზე და მასში არ აისახება ოფციონების ან კონვერტირებადი ინსტრუმენტების შესაძლო გამოყენება ან კონვერტაცია.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

ჯგუფის მოქმედი/(სამუშაო) ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ჯგუფის ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ამონაგების აღიარება

ჯგუფი ამონაგებს შეაფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან

გამოიქვითება ჯგუფის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ ჯგუფის საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. ჯგუფის ამონაგებში არ ითვალისწინებს მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებულ ისეთ თანხებს, როგორიცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული ბრუნვის გადასახადი, საქონლისა და მომსახურების გადასახადები და დამატებითი ღირებულების გადასახადი.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- (ა) ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) ჯგუფი არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართულებით, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ ჯგუფი მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ჯგუფი ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

ჯგუფი ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით ჯგუფისათვის.

მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღრიცხება ცალ-ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა, შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 10% განაკვეთით.

ჩვეულებრივი იჯარა - ჯგუფი როგორც მოიჯარე

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარის კლასიფიკაცია ხდება იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი ვადის განმავლობაში. თუ შემდეგ მოიჯარე და მეიჯარე გადაწყვეტენ საიჯარო პირობების შეცვლას (იმ შემთხვევის

გარდა, როდესაც უბრალოდ იჯარა განახლდება), აუცილებელია იჯარის კლასიფიკაციის გადახედვა.

ჩვეულებრივი იჯარის დროს ჯგუფი საიჯარო გადასახდელებს ხარჯად აღიარებს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექმომსახურება) წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შემენის დანახარჯები მოიცავს: მისი შემენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საზოგადოებას უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შემენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შემენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია იდენტიფიცირებადი მეთოდით.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

ზოგიერთი სახის მარაგი შეიძლება მიეკუთვნოს სხვა აქტივების ანგარიშებს, მაგალითად მარაგი, რომელიც საზოგადოების მიერ გამოყენებული იყო საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებების კომპონენტის სახით. სხვა აქტივზე ამგვარად მიკუთვნებული მარაგი შემდგომში აისახება წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკის იმ დებულებების მიხედვით, რომელიც ამ აქტივის ტიპის შესაფერისი იქნება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფი საქონლისა და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით ჯგუფის მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა ჯგუფმა ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

ჯგუფის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ვალუტა	31.12.2023წ.	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
1 აშშ დოლარი	2,6894	2,7020	3,0976
1 ევრო	2,9753	2,8844	3,5040

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ურთიერთგაქვითვას, ხოლო წმინდა ოდენობა ბალანსში ასახვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს

აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის სამართლებრივად მოქმედ უფლებას, და სახეზეა განზრახვა წარმოებულ იქნას ურთიერთგაქვითვა ნეტო-საფუძველზე ან ერთდროულად განხორციელებულ იქნას აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების შესრულება.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიულ ღირებულებას აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებებისა სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ:

მანქანა-დანადგარები	10-34%
ოფისის აღჭურვილობა	10%
კომპიუტერული მოწყობილობები	10-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10-34%
სერვისის ინვენტარი	10%
სატრანსპორტი საშუალებები	10%
სარეკლამო საშუალებები	10-20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10%
ნაგებობები	2,5-5%
შენობა	2,5-5%

შპს „ტორნადო +“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)								
	დასახელება	ნაშთი 31.12.23	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.22	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.21
	შემოსვის ღირებულება							
1	შენიშვნა	130 784	-	-	130 784	90	-	130 694
2	მანქანა-დანადგარები	221 829	584	-	221 245	37 118	-	184 127
3	ოფისის აღჭურვილობა	19 809	2 760	-	17 049	762	-	16 287
4	კომპიუტერული მოწყობილობები	38 582	191	-	38 391	2 771	(5 827)	41 447
5	ავეჯი და სხვა ინვენტარი	54 625	3 980	-	50 645	26 191	(12 194)	36 647
6	სერვისის ინვენტარი	50 479	1 610	-	48 869	2 699	-	46 170
7	სატრანსპორტი საშუალებები	149 790	23 962	(26 305)	152 133	82 115	(10 372)	80 390
8	სარეკლამო საშუალებები	72 982	18 936	-	54 046	25 254	-	28 792
9	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	291 386	-	-	291 386	111 382	-	180 004
10	ნაგებობები	4 746	-	-	4 746	4 746	-	-
11	დაუმთავრებელი მშენებლობა	186 002	140 320	-	45 683	45 683	-	-
12	მიწა	2 814 610	-	-	2 814 610	1 993 073	-	821 537
	ჯამი	4 035 625	192 343	(26 305)	3 869 587	2 311 883	(28 392)	1 566 096
	დასახელება	ნაშთი 31.12.23	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.22	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.21
	ცვეთა							
1	შენიშვნა	17 689	5 952	-	11 737	6 261	-	5 476
2	მანქანა-დანადგარები	92 545	27 050	-	65 495	25 149	-	40 346
3	ოფისის აღჭურვილობა	9 491	2 917	-	6 573	2 654	-	3 919
4	კომპიუტერული მოწყობილობები	15 621	4 485	-	11 136	4 541	(1 307)	7 903
5	ავეჯი და სხვა ინვენტარი	22 227	8 890	-	13 337	6 151	(3 651)	10 837
6	სერვისის ინვენტარი	16 576	4 376	-	12 200	6 751	-	5 449
7	სატრანსპორტო საშუალებები	44 643	24 099	(6 738)	27 282	18 315	(3 281)	12 248
8	სარეკლამო საშუალებები	31 351	18 751	-	12 600	6 454	-	6 146
9	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	76 343	30 515	-	45 828	20 184	-	25 643
10	ნაგებობები	714	475	-	239	239	-	-
	ჯამი	327 200	127 510	(6 738)	206 429	96 699	(8 239)	117 968
	საბალანსო ღირებულება	3 708 425	64 834	(19 567)	3 663 158	2 235 184	(20 154)	1 448 128

5. არამატერიალური აქტივები

(ლარი)								
	დასახელება	ნაშთი 31.12.23	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.22	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.21
	შემენის ღირებულება							
1	პროგრამული უზრუნველყოფა	37 179	-	-	37 179	-	-	37 179
	ჯამი	37 179	-	-	37 179	-	-	37 179
	ამორტიზაცია							
	დასახელება	ნაშთი 31.12.23	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.22	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.21
	ამორტიზაცია							
1	პროგრამული უზრუნველყოფა	16 608	3 770	-	12 837	3 770	-	9 067
	ჯამი	16 608	3 770	-	12 837	3 770	-	9 067
	საბალანსო ღირებულება	20 571	(3 770)	-	24 342	(3 770)	-	28 112

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით 10%-იანი განაკვეთის გათვალისწინებით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

6. მარაგები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	გასაყიდად გამიზნული საქონელი	4 913 571	4 245 227
2	სხვა (საექსპლუატაციო) სას.-მატ. ფას.-ები	247 370	69 026
	ჯამი	5 160 941	4 314 253

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია ინდივიდუალური მეთოდით.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	სავაჭრო მოთხოვნები	1 687 442	837 390
2	გადახდილი ავანსები	2 581 624	911 247
3	სხვა მიმდინარე მოთხოვნები	-	366
	ჯამი	4 269 066	1 749 002

8. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	ფული სალაროში	115 820	22 723
2	ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	777 009	419 208
3	ფული საბანკო ანგარიშზე (უცხოური ვალუტა)	91 959	7 469
	ჯამი	984 789	449 400

9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	სს თიბისი ბანკი (სესხი #12127044)	427 570	656 492
2	სს თიბისი ბანკი (სესხი #12127123)	980 057	1 088 826
3	სს თიბისი ბანკი (სესხი #12250842)	1 900 473	1 994 099
4	სს თიბისი ბანკი (სესხი #12312385)	1 972 543	486 529
	ჯამი	5 280 643	4 225 947

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
1	სავაჭრო ვალდებულებები	979 953	1 070 619
-	რეზიდენტი იურიდიული/ფიზიკური პირები	59 525	53 429
-	არარეზიდენტი იურიდიული/ფიზიკური პირები	920 428	1 017 190
2	მიღებული ავანსები	55 468	53 512
	ჯამი	1 035 421	1 124 130

11. ამონაგები

(ლარი)

	დასახელება	2023 წელი	2022 წელი
1	ამონაგები საქონლის გაყიდვებიდან	13 451 550	11 842 974
2	ამონაგები მომსახურების გაყიდვებიდან	87 433	107 015
3	ამონაგები ქვეიჯარებიდან	75 268	64 363
4	გაყიდული საქონლის დაბრუნება, ფასდათმობა	(36 352)	(61 217)
	ჯამი	13 577 899	11 953 134

12. სხვა შემოსავალი

		(ლარი)	
	დასახელება	2023 წელი	2022 წელი
1	უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	100 634	5 972
2	სასაქონლო მატ. ფას.-ების შემოსავალში აღება	1 486	7 518
3	საპროცენტო შემოსავალი	4 082	3 267
4	დადებითი საკურსო სხვაობა	382 660	988 718
5	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	445 350	330 578
	ჯამი	934 213	1 336 052

13. სხვა ხარჯი

		(ლარი)	
	დასახელება	2023 წელი	2022 წელი
1	საპროცენტო ხარჯი	289 285	135 710
2	უარყოფითი საკურსო სხვაობა	570 482	470 271
3	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	26 966	350 080
4	დაზღვევის ხარჯი	6 940	3 366
5	კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	15 103	13 927
6	სხვა საექსპლუატაციო ხარჯი	11 572	44 968
	ჯამი	920 348	1 018 323

14. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება

ჯგუფის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4 306 885	1 749 002
ფულადი სახსრები და ექვივალენტები		
ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	868 968	426 678
ფული სალაროში	115 820	22 723
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	5 291 674	2 198 402

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ჯგუფი მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ვალდებული პირი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობას და ეს იწვევს ფინანსურ ზარალს ჯგუფისათვის. დებიტორები შედგებიან სხვადასხვა მომხმარებლებისგან. საკრედიტო შეფასება ხორციელდება დებიტორების ფინანსური მდგომარეობის გადახედვით და შესაბამისი საექვო ვალების რეზერვის შექმნით.

საბაზრო რისკი. ჯგუფი განიცდის საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) ლიკვიდურობის რისკით პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება სისტემატიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფს გააჩნია მიღებული სესხები, რომლებსაც ერიცხება პროცენტები.

	31.12.2023	31.12.2022
სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივები	-	-
სულ საპროცენტო გასავლის მქონე ვალდებულებები (მიღებული სესხები)	5 280 651	4 225 947
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა	(5 280 651)	(4 225 947)

სავალუტო რისკი. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში ჯგუფს გააჩნია რისკი, რომელიც გამოწვეულია საწარმოთა ფინანსურ პოზიციისა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის ხარჯების დიდი ნაწილი გაიწევა ეროვნულ ვალუტაში; შემოსავლების ძირითადი ნაწილი მიიღება ასევე ლარებში, რამდენადაც ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული სოლიდური ვალდებულება - ვალდებულებები უცხოურ მომწოდებლებთან - ამდენად ჯგუფის ხელმძღვანელობა ეწევა სისტემატურ მონიტორინგს უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით წარმომოხილ სავალუტო რისკის მისაღები ლიმიტების უზრუნველსაყოფად.

ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები. ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს სირთულეები სახსრების მოპოვებაში მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებისას, ასევე, ლიკვიდურობის რისკს ადგილი აქვს, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებს შორის აღინიშნება რაიმე სხვაობა. საწარმო ინარჩუნებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველყოფით, რომ ფონდები იქნება ხელმისაწვდომი ყველა პერიოდში, რათა მოხდეს შესაბამისი ვალდებულების შესრულება ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით, როდესაც დგება გადახდის მომენტი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადებისა და ლიკვიდური აქტივების სტუქტურის ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდ.-ები	1 509 093	-	-	-	1 509 093
მიღებული სესხები	-	-	5 280 651	-	5 280 651
სულ მომავალში გადასახდლები	1 509 093	-	5 280 651	-	6 789 744
ფინანსური აქტივები					
გაცემული სესხები	-	-	-	-	-
სავაჭრო და საავანსო მოთხოვნები	4 306 885	-	-	-	4 306 885
ფული და ექვივალენტები	984 789	-	-	-	984 789
წმინდა პოზიცია	3 782 581	-	(5 280 651)	-	(1 498 070)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადებისა და ლიკვიდური აქტივების სტუქტურის ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდ.-ები	1 321 227	-	-	-	1 321 227
მიღებული სესხები	-	115 469	4 225 947	-	4 341 416
სულ მომავალში გადასახდლები	1 321 227	115 469	-	-	5 662 650

ფინანსური აქტივები					
გაცემული სესხები	-	-	-	-	-
სავაჭრო და სავაწისო მოთხოვნები	1 749 002	-	-	-	1 749 002
ფული და ექვივალენტები	449 400	-	-	-	449 400
წმინდა პოზიცია	877 175	(115 469)	(4 225 947)	-	(3 464 241)

15. კაპიტალის მართვა

ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს საზოგადოების ფუნქციონირება, რათა პარტნიორებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, საზოგადოებამ შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

ჯგუფი არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

16. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებს შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა ან ლიკვიდაციისა და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა ჯგუფის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კვოტირებები შესაძლოა მომველებული იყოს ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს, განსხვავებულ შემთხვევებში ხდება მათი დარეზერვება.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრები ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან ერთი მხარე ფლობს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობას ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო ხასიათის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას დაკავშირებულ პირებთან გარიგებები გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და მოიცავს:

- პარტნიორებზე დივიდენდების გაცემის ოპერაციებს;
- მომსახურების (სესხი) ოპერაციებს;
- საქონლის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს;
- მომსახურების (იჯარა) ოპერაციებს;
- წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შრომის ანაზღაურებას.

დაკავშირებული მხარეები, მათთან განხორციელებული ოპერაციები

(ვალუტა)

N	დასახელება	ოპერაციის სახე	2023 წ.	2022 წ.
1	შპს ჯი ემ თი ჯგუფი	სმფ-ს გაყიდვა	8 511 657	8 083 589
2	შპს ჯი ემ თი ჯგუფი	იჯარის მიღება	7 080	7 080
3	შპს ჯი ემ თი ჯგუფი	დივიდენდის დარიცხვა	412 500	-
4	შპს ჯი ემ თი პლიუსი	იჯარის მიწოდება	50 854	50 854
5	ალექსანდრე ივანიშვილი	სესხი პარტნიორისგან GEL	-	98 800
6	ალექსანდრე ივანიშვილი	სესხი პარტნიორისგან EUR	-	€ 200 000
7	ალექსანდრე ივანიშვილი	სესხის ძირის დაფარვა GEL	98 800	-
8	ალექსანდრე ივანიშვილი	სესხის ძირის დაფარვა EUR	-	€ 200 000
9	ალექსანდრე ივანიშვილი	სესხის ძირის დაფარვა USD	6 169 USD	59 331 USD
10	ალექსანდრე ივანიშვილი	პროცენტის დარიცხვა GEL	-	6 738
11	ალექსანდრე ივანიშვილი	პროცენტის დაფარვა GEL	-	6 401
12	ალექსანდრე ივანიშვილი	დივიდენდის გაცემა	138 497	-
13	რობერტი ხაბურზანია	დივიდენდის გაცემა	22 791	-
14	თამაზ ხარაიძე	დივიდენდის გაცემა	49 088	-
15	გიორგი დამენია	დივიდენდის გაცემა	140 250	-
16	გიორგი ბეზია	ხელმძ-ის გასამრჯელო	6 122	6 122
	ჯამი	-	9 443 807	9 294 906

**დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციებიდან წარმოშობილი
მოთხოვნა/ვალდებულების ნაშთები 31.12.2023წ. თარიღით დასრულებული წლისათვის
(ლარი)**

N	დასახელება	ოპერაციის სახე	ნაშთი 31.12.2023 წ.	ნაშთი 31.12.2022 წ.
1	შპს ჯი ემ თი ჯგუფი	სმფ-ს გაყიდვა	1 348 623	677 006
2	შპს ჯი ემ თი ჯგუფი	ვალდებულება იჯარიდან	3 540	-
3	შპს ჯი ემ თი ჯგუფი	დარიცხული დივიდენდი	-	-
4	შპს ჯი ემ თი პლიუსი	მოთხოვნა იჯარიდან	6 586	2 383
5	ალექსანდრე ივანიშვილი	სესხი პარტნიორისგან GEL	-	-
6	ალექსანდრე ივანიშვილი	სესხი პარტნიორისგან EUR	-	-
7	ალექსანდრე ივანიშვილი	სესხის ძირის დაფარვა GEL	-	-
8	ალექსანდრე ივანიშვილი	სესხის ძირის დაფარვა EUR	-	-
9	ალექსანდრე ივანიშვილი	სესხის ძირის დაფარვა USD	-	-
10	ალექსანდრე ივანიშვილი	პროცენტის დარიცხვა GEL	-	-
11	ალექსანდრე ივანიშვილი	პროცენტის დაფარვა GEL	-	-
12	ალექსანდრე ივანიშვილი	დივიდენდის გაცემა	-	-
13	რობერტი ხაბურზანია	დივიდენდის გაცემა	-	-
14	თამაზ ხარაიძე	დივიდენდის გაცემა	-	-
15	გიორგი დამენია	დივიდენდის გაცემა	-	-
16	გიორგი ბებია	ხელმძ-ის გასამრჯელო	-	-
	ჯამი	-		988 560

18. განუსაზღვრელი ვალდებულებები

სასამართლო განხილვები. 2021 წელს ჯგუფის შემადგენლობაში შემავალი კომპანიის (შპს „ჯი ემ თი ჯგუფი“, ს/ნ 402047664) წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი აღძრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე მოითხოვა 54.000,0 ლარის დაკისრება/(გადახდა).

პირველი ინსტანციის საამართლომ კომპანიას ნაცვლად მოთხოვნილი 54.000,0 ლარისა დააკისრა მხოლოდ 17.000,0 ლარის პირგასამტეხლო. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კომპანიის მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში საანგარიშო 2022 წელს.

2023 წლის ზაფხულში სააპელაციო სასამართლომ განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება უცვლელად დაეთოვებინა პირველი ინსტანციის საამართლოს გადაწყვეტილება. ეს უკანასკნელი განჩინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაასაჩივრა საქართველოს უზანაეს სასამართლოში.

საქართველოს უზანაესმა სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა მომჩივანი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, და მიიღო გადაწყვეტილება უცვლელად დაეთოვებინა პირველი ინსტანციის ორივე სასამართლოს გადაწყვეტილება.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს კანონმდებლობა საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო სფეროში განიცდიდა ხშირ ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ ჯგუფის გარიგებებსა და საქმიანობასთან მიმართებაში გაკეთებული კანონმდებლობის ინტერპრეტირება შესაძლოა არ შეესაბამებოდეს საგადასახადო სამსახურების ინტერპრეტაციას. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ გამოიჩინონ კანონმდებლობის განსხვავებული ინტერპრეტაცია ადრე მომხდარი გარიგებებისა და საქმიანობის მიმართ. შესაბამისად, შეიძლება წარმოიქმნას დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და საურავების დარიცხვის რისკი.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. საანგარიშო პერიოდში ჯგუფის აქტივები არ ყოფილა დაგირავებული ან/და შეზღუდული გარდა უძრავი ქონების ობიექტებისა, რომლებიც სს „თიბისი ბანკიდან“ (ს/ნ 204854595) მიღებული სესხების სანაცვლოდ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დატვირთულია იპოთეკით:

- 4568.00 კვ.მ. საერთო ფართის არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული N1-N3 შენობა-ნაგებობა მდებარე: ქალაქი ფოთი, ხეივანი კოკაია, N8 - საკადასტრო კოდი N 04.01.03.119;
- 12300.00 კვ.მ. საერთო ფართის არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი, მდებარე: ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, (ნაკვეთი 04/007) - საკადასტრო კოდი N 01.19.18.004.007.

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. საზოგადოებას მოზიდულ სახსრებთან დაკავშირებით გააჩნია ვალდებულებები, თუმცა მათი გადახდის რისკები არ ფიქსირდება.

19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

რაც შეეხება მსოფლიოში (მათ შორის უკრაინაში) მიმდინარე მოვლენებს, ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ უკრაინაში და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომი არამაკორექტირებელი მოვლენაა და ყურადღებით აკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ ვითარებას, რათა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად დააკორექტიროს საზოგადოების საქმიანობის შედეგები.